

აჭარის რეგიონის სოციალურად დაუცველ ორსულ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების მართვა თამარ ქაჩლიძე¹, ვასილ ტყემელაშვილი²

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა
¹მაგისტრი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა; ²ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (WHO, 2014), დღესდღეობით 200 მლნ-ზე მეტ ადამიანს აღენიშნება ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები. აჭარის რეგიონის სოციალურად დაუცველ ორსულ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების მართვის დაზუსტების მიზნით, საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა ეპიდემიოლოგიური კვლევა. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (2012) მონაცემების მიხედვით სუბკლინიკური და სხვა ფორმის ჰიპოთირეოზის ინციდენტობის მაჩვენებლებმა 2012 წელში 2011 წელთან შედარებით 2-ჯერ მოიმატა, არატოქსიური ჩიყვის შემთხვევებმა - 1.13-ჯერ, ხოლო თირეოტოქსიკოზის - 1.3-ჯერ. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სკრინინგის პროგრამის 1 წლიანი (2014–2015) პერიოდის მონაცემები: ჯამში აჭარაში მცხოვრებ 900, სოციალურად დაუცველ, ორსულ ქალს (სარეიტინგო ქულა 0–200 000) ჩატარდა ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების კვლევა (TSH, FT4), ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიული კვლევა და ენდოკრინოლოგის კონსულტაცია. ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია სკრინინგ-პროგრამით გამოკვლეული 900 სოციალურად დაუცველი ორსული ქალიდან გამოუვლინდა სულ 335 (37.2%) ქალს. დადგენილი იქნა ორსულ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის დაავადების სტრუქტურა, თითოეული ავადობის ხვედრითი წონა და სარანგო ადგილი: დიფუზური ჩიყვი –32.1%; ჰიპოთირეოზი–18.9%; კვანძოვანი ჩიყვი–13.5%; აუტოიმუნური თირეოდიტი–13.5%; დიფუზურ-კვანძვანი ჩიყვი–10.8%; სუბკლინიკური ჰიპოთირეოზი–8.1%; თიროტოქსიკოზი–2.7%. 2012 წელს აჭარის აუტონომიური რესპუბლიკაში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის პრევალენტობამ ყოველ 1,000 მოსახლეზე შეადგინა 9.9, ხოლო სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის–20.8. გამოკვლეულ 900 სოციალურად დაუცველ ორსულ ქალში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის პრევალენტობამ ყოველ 1,000 ქალზე შეადგინა 372.2, ხოლო სუბკლინიკურის–32.2. სოციალურად დაუცველ ორსულ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების გავრცელების სიხშირე 17.9 ჯერ, ხოლო სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის სიხშირე 3.3 ჯერ მაღალია ზოგადად აჭარის მოსახლეობაში ავადობის სიხშირესთან შედარებით. კვლევით დადგენილ იქნა, რომ არსებულ სკრინინგ პროგრამაში, ისევე როგორც სახელწიფო ანტენატალური მეთვალყურეობის პრორაგამში შესატანია ცვლილებები. კერძოდ ორსულობის პერიოდში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით აუცილებელია ანტენატალური მეთვალყურეობის პირველ და მეორე ვიზიტზე გათვალისწინებულ გამოკვლევებში ჩართული იქნას ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური ტესტები უსაფრთხო ორსულობის უზრუნველყოფის, მშობიარობის შესაძლო გართულებების პრევენციის, საკეისრო კვეთების შემცირების მიზნით.

აბრევიატურა: WHO- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

საკვანძო სიტყვები: ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია, სკრინინგი, ორსულობა, აჭარა.